



მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 17 მარტი, 2015 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა, მეოთხე ჯგუფის კოორდინატორი
2. ნინო ტლაშაძე - ადამიანის უფლებათა ცენტრი, მეოთხე ჯგუფის კოორდინატორი
3. ალექსანდრა კალატოზიშვილი - ფონდი "სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი",
4. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
5. ალლა გამახარია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
6. კავკასიური მოზაიკა - ნაირა ბეპიევი
7. ლეილა ნაროუშვილი - რეპატრიანტთა კავშირი
8. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
9. ლიკა მარღანია - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმოზა"
10. გიორგი დავიდოვი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
11. ნანული რამიშვილი - პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"
12. გიორგი გაბუნია - ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“
13. გუნა ბიბილეიშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
14. ნატო შავლაყაძე - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი

განსახილველი საკითხები:

- ❖ ეროვნული პლატფორმის მე-4 სამუშაო ჯგუფის 2015 წლის პრიორიტეტული გეგმებისა და მიმართულებების განხილვა
- ❖ ჩხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსი
- ❖ სხვა

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ჯგუფის წევრებს წარუდგინა სამოქმედო გეგმა და მოუწოდა აქტიურობისკენ, რათა ერთიანი ძალისხმევით მიღწეულ იქნას გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელება.

კოორდინატორმა წამოაყენა ინიციატივა, რომ ჯგუფის წევრებს შორის ინფორმაციის ეფექტური გაცვლის მიზნით სოციალურ ქსელ Facebook - ში შეიქმნას ჯგუფი, სადაც განთავსდება ყველა სახის სიახლე (ღონისძიებები, საგრანტო კონკურსები და ა.შ) და ჯგუფის წევრები შეძლებენ გაეცნონ მიმდინარე აქტუალურ საკითხებს. მან ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ჩხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შესახებ. დაფინანსება განკუთვნილია I, IV და V სამუშაო ჯგუფებისთვის, მცირე პროექტებისთვის გამოყოფილია 15 000 €, საერთო ბიუჯეტი კი შეადგენს 90 000 € -ს.

გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს გააცნო კონფერენციის ჩატარების იდეა, რომელიც მიზნად ისახავს რიგის სამიტის შედეგების შეფასებას.

პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"-ს წარმომადგენელმა გამოთქვა ინიციატივა, რომ პლატფორმის აქტივობები ჩატარდეს რეგიონებში, ასევე მოხდეს გასვლითი შეხვედრების ორგანიზების უზრუნველყოფა. აღნიშნულ პროცესში მან გამოთქვა მხარდაჭერის მზაობა და მიმართა ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებს, რომ აღნიშნული შეხვედრებისთვის შეუძლიათ გამოიყენონ ორგანიზაციის სამუშაო ფართი.

ჯგუფის წევრებმა განიხილეს მიმდინარე პრიორიტეტული საკითხები და ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის გზებზე.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.